მხევალ ყვლია ფუტრის

ტომ-იუსისი

სტამბოლ

1914

„გამჩენი ქვეყნისა გაჩენილთაგან სიყვარულს თხოულობს... სიყვარული სწყურია!“



მხევალი უფლისა თერეზა ყრმა-იესოსი

მარია - ფრანჩისკა - თერეზა მარტენი

დაიბადა ალანსონს იანვრის ორს 1873. 15 წლისა შევიდა ლიზიოს კარმელში, სადაც დაჰყო 9 წელიწადი და [illegible] თვე.

თერეზა, მარტივსა და დაფარულ ცხოვრებაში, [illegible]-ოცარი სიმტკიცით შეუდგა სათნოების შე[illegible] [illegible] რამეშიც კი ცდილობდა ესიამოვნებინა უ[illegible]თვის. იგი

მზგავსათ ყმაწვილისა, მიისწრაფოდა ღვთისადმი, რო-
გორც უფრო ლმობიერისა და მოწყალე მამისადმი. მას
ეს შვილობრივი გრძნობა და შეურყეველი მინდობილობა
ძეეთვისა საღმრთო წერილიდან, განსაკუთრებით სახარე-
ბიდან, რომლითაც იგი სტკბებოდა. ღმრთიულ ქადაგის
სიტყვებით შთაგონებული, ეძორჩილებოდა თავის სული-
ერ მისწრაფებას და მიეკვალებოდა თვითონ იესოსგანვე
ხოტბა შესხმული სულიერი ყრმობის გზით. „უკეთუ არა
მოიქცეთ, და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სა-
სუფეველსა ცათასა... ნუ აყენებთ მაგათ; რამეთუ ეგე ვი-
თართა არს სასუფეველი ცათა“.

ზეგარდმო შთაგონებულმა თერეზამ, თვისი თავი შე-
სწირა მსხვერპლად სახიერი ღვთის მოწყალე სიყვარულს,
თვალები ზეცას აღაპყრა და სიყვარულით გამსჭვალულმა
დალია სული... 24 წლისა იყო მხოლოდ.

შემდგომად მისი მიცვალებისა, გამრავლდენ დიდ-დიდ-
ნი ნიშნი მის მეოხებას რომ მიაწერდენ, რამაც გადააწყვე-
ტინა სულიერ მართველობას წარედგინა წმ. ეკლესიის
წინაშე საკითხი თერეზას „ნეტარად“ შერაცხვისა. 10 ქრის-
ტეშობისთვეს ეკლესიამ განაცხადა, რომ მის თხზულე-
ებში საწინააღმდეგოს არა რას ვხედავო“.

და თერეზა ყრმა-იესოს შესაწირავი ლოცვა.

„რათა სრული სიყვარულის საქმით ვიცხოვრო, შე-
მიწირავს ჩემი თავი ყოვლად დასაწველ შესაწირავად
შენი სახიერი სიყვარულისათვის; ამასთანავე გევედრები
დაუყოვნებლივ დაძწვა და გადმოღვარო ჩემს სულში ტალ-
ღანი განუსაზღვრელი მოწყლეობისა, შენში რომ დაცულ
არიან, და ამნაირათ გამხადო წამებული შენი სიყვარუ-
ლისა, ღმერთო ჩემო!

ჯერეთ დამამზადოს ამ წამებამ შენს წინაშე გამოსა-
ცხადებლათ, და მერმე მოცამკლას, და ჩემი სული დაუ-
ცადებლათ შენავარდდეს სადაც საუკუნო ამბორია შენი
სახიერი სიყვარულისა!

ჩემო ყოვლად საყვარელო, ჩემი სურვილია, რომ
თვითეულ გულის ძგერაზე განგიახლო ეს შესაწირავი
განუსაზღვრელჯერ, ვიდრე აჩრდილნი წარხდებოდენ და
შემეძლოს ჩემი სიყვარული მოგითხრა საუკუნოებრივ
პირისპიროობაში!..“

და თერეზას სასოება ღვთისადმი.

„ღვთისკენ ვზენავდები მინდობილობით დი სიყვარულით, იმიტომ კი არა, რომ მომაკვდინებელ ცოდვისგან დაცულ ვიქმენ. აჰ! ამას კარგა ვგრძნობ, ყოველნაირი ცოდვებით დატვირთულიც რომ მქონდეს სინანული, მინდობილობისას მაინც არაფერს დავკარგავ; სინანულისგან გულ-შემუსვრილი მივალ, ჩემს მაცხოვარს მკლავებში ჩავუვარდები. ვიცი, უყვარს უძღები შვილი, მახსოვს, როგორი სიტკბოებითაც გაუმასპინძლდა წმ. მაგდალენას, მემრუშე დედაკაცს, სამარიტელ ქალსა. არა, ვერავინ შემაშინებს, ვინაითგან ვუწყი, რაც უნდა ვიფიქრო მის სიყვარულსა და სახიერებაზე. კარგათ ვიცი, ცოდვათა ეგოდენი სიმრავლეც ჩაფსკრულდებოდა თვალის დახამხამებაში, როგორც წვეთი წყალი აღტყინებულ სახმილში.

აჰ! ჩემსავით სუსტი და უძლური სულები უნდა განიცდიდენ რასაც მე ვგრძნობ, მაშინ არც ერთი იმათგანი აღარ გადიწყვეტდა იმედს, რომ მიწევნულიყო სიყვარულის მთის მწვერვალზე, ვინაითგან იესო დიდ-დიდ საქმეებს კი არ თხოულობს, არამედ მინდობილობას და მადლიერობას.

აი რას თხოულობს ჩვენგან იესო! ჩვენი საქმენი კი არა, სიყვარული ესაჭიროება. იგივე ღმერთი რომ აცხადებს „შეთუმემშიოს, არავე შენ გეტყოდეო“, წარმოიდგინეთ ცოტა წყალს იხვეწება სამარიტელ დედაკაცისგან... სწყურიოდა!! გარნა თქმით „მასუ მე წყალი“, საბრალო გაჩენილის სიყვარულს თხოულობდა ქვეყნის გამჩენი, სიყვარული სწყურიოდა!“

და თერეზას კეთილი შური და მისი იმედნი.

„იმედი მაქვს, რომ უქმათ არ დავშთები ზეცას, ჩემი ნატვრაა ვიშრომო სულთა და ეკლესიისთვის. ამას ვთხოვ ღმერთსა, დარწმუნებული ვარ, რომ შემისმენს. აწვე ვგრძნობ, მთელი ჩემი სურვილები განხორციელდებიან უსათუოდ, დიახ, ღმერთი ჩემთვის ნიშებს მოახდენს, რომელნიც ძალზე გადააჭარბებენ ჩემს განუზომელ ნატვრათა.

ვგრძნობ უნდა დაიწყოს ჩემმა მოციქულობამ, რომლითაც შევაყვარებ ღმერთსა ისე, როგორც თვითონ მე მიყვარს, და აღვუნიშნავ სულებს ჩემს მცირე გზას მინდო-

ი93/1394 2023 ც.
10 ც.
NK 179

ბილობისა და მიტოვებისას: ცაში ჩემი დროების გატარება ქვეყანაზე სიკეთის მოფენა იქნება. ეს შეუძლებელი როდია, განმანეტარებელ ხილვაში მყოფნი ანგელოზებიც კი ჩვენზე ზრუნავენ. არა, ქვეყნის დასრულებამდის ვერ მოვისვენებ! ხოლო როდესაც ანგელოზი იტყვის: „განქარდა დრო“, მაშინ მივეცემი მოსვენებას, მაშინ შემეძლება განცხრომა, ვინაითგან შესრულებულ იქნება რჩეულთა რიცხვით“.

ლოცვა მოსაპოებლათ განეტარებისა ღვთის მხევლისა თერეზა ყრმა-იესოსი და წმიდა სახისა.

ჵ იესო, რომელმან ინებე და ჩვილი ყმაწვილი იშობე ჩვენი ამპარტავნობის შესარცხვენათ, და შემდგომაც ეს ალმაფრენი სიტყვა წარმოსთქვი „უკეთუ არა იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“, შეისმინე ჩვენი თავმდაბლური ლოცვა, რომელსაც აღვასრულებთ იმისთვის, რომელმაც ეგრე სისრულით გაატარა სულიერი ყმაწვილობის ცხოვრება და ეგრე ხელმიწვევნით აღგვინიშნა მისი გზა.

ჵ ბაგის პატარა ყრმაო! შენი ღვთიური ყმაწვილობის დამათრობელი სიტკბოების მიერ გევედრებით; ჵ იესოს სათაყვანებელო სახევ! შენი ვნების დამდაბლებათა მიერ შეგთხოვთ, თუ კი შენდა სადიდებლათ და სულთა საცხონებლათ უნდა იყოს, მალე ნეტარელთა ნათელი ცისკროვნობდეს შუბლზე შენი მცირე რძლის თერეზა ყრმა-იესოსი და წმიდა სახისა. ამინ.

ღმერთო, რომელმაც შენი სულით აღატყინე მხევლის თერეზა ყრმა-იესოს გული, მოგვმადლე, რომ ჩვენც შეგიყვაროთ და სხვებსაც ძალზე შევაყვაროთ. ამინ.

Imprimatur.

† Vincentius Archiep. Vic. Ap

სტამბოლი. საბეჭდავი კათ. ქართვ. სავანისა. 1914.